№ 270

სამშაბათი 30 დეკემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 270

სამშაბათი 30 დეკემბერი, 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ამ ნომერში ექვსი გვერდია.**

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს 1 იანვარს,

ქართულ თეატრის დაფუძნების სახსოვრად

**საიუბილეო წარმოდგენაა**

ამ წარმოდგენის გამგებლობა იკისრა კნეინა მარიამ ზაქარიას ასულმა ერისთავისამ

**პ ი რ ვ ე ლ ა დ**

საგანგებოდ ამ წარმოდგენისათვის შეთხზული პიესა

## სამზადისი

სცენები ქართულ თეატრის დაფუძნების დროისა პეტრე უმიკაშვილის-მიერ

II

## გაყრა

სამი პირველი მოქმედება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, კარგარეთლი, გარელი, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ცაგარელი, ადამიძე, საფაროვი, და სხვ.

III

## აპოთეოზი

ქართულის თეატრის დამფუძნებელის

**თავ. გ. ერისთავის პატივისცემით მოხსენება**

IV

ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა ითამაშებს

## ლ ე კ ს ს

ადგილების ფასი საბენეფისოა

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ

**სამშაბათს, 6 იანვარს, 1898 წელს,**

ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში

გ ა მ ა რ თ უ ლ ი ქ მ ნ ე ბ ა

## ბ ა ლ ი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

**ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.**

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალებისათვის გულ ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო წოდების კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი, დანარჩენებისათვის—ფრაკი.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

(6—უ.—1).

### საკონკურსო მმართველობისაგან

საკონკურსო მმართველობა, რომელიც დაარსებულ იქმნა გაკოტრებულ მოვალის იასონ სოფრომის ძის იოსელიანის საქმეებისა გამო, ამითი აცხადებს, რომ 9 აპრილს, 1898 წ., დილის 10 საათზედ, ბათუმის მომრიგებელ-მოსამართლის სადგომში საჯარო ვაჭრობით გაისყიდება იოსელიანის მამულების 30 ნაჭერი. გასასყიდი მიწა გაწმენდილია ჯაგნარისა და ტყისაგან, დაყოფილია ნაწილებად და ცალკ-ცალკე გეგმაშიაც არის აღნიშნული. ვაჭრობა დაიწყება ორის მანეთიდგან ერთ ოთხ-კუთხ საჟენზედ. დაწვრილებითი პირობათა შეტყობა და გეგმის ნახვა შეიძლება: 1, ბათუმში, ა. ა. ცატუროვის მამულების მოურავთან; 2, ტფილისში კურატორ ნაფიც ვექილ ი. ს. ტერ-სტეფანოვთან და 3, ბაქოში კურატორი კერძო ვექილს პ. მ. ლებედინსკისთან. (3—207—1)

### მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი სოვეტნიკობა—გეოგჩაის მომრიგებელ მოსამართლეს ბაქრაძეს; კოლეჟსკი ასესორობა—ლენქორანის მომრიგებელ მოსამართლეს მამულაიშვილს, ცალენჯიხის მომრიგებელ მოსამართლეს ჰიჰინაძეს, ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ნაწილის გარდასახადთა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს თავად წერეთელს.

გადაყვანილ იქმნა. ტვერის მე-43 დრაგუნთა რაზმის პორუჩიკი კობიაშვილი—მისის უდიდებულესობის სახელის ნიჟეგოროდის მე-44 დრაგუნთა რაზმში.

კავკასიის მთავარ-მართებელმა კეთილ ინება და დაამტკიცა მისის უდიდებულესობის კარის კამერიუნკერის მეუღლე კნეინა ნინო იოსების ასული მუხრან-ბატონისა წმ. ნინოს დედათა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს წევრად, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მეუღლის ყოზეფინა ქეთანოვის ასულის კეიდენბაუმის ნაცვლად, რომელსაც კადა წევრობისა გაუვიდა.

### ნეკროლოგი

† ასლან კაიკაციშვილი

დიდად სამწუხარო ამბავი მოგვივიდა ოდესიდგან. ქართველი სტუდენტები გვაცნობებენ, რომ „24 დეკემბერს, სამის დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ერთი ჩვენი საუკეთესო ამხანაგთაგანი, საბუნების-მეტყველო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ასლან კაიკაციშვილიო“.

განსვენებული შვილი იყო გულ-ალა კაიკაციშვილისა და ქართველ მაჰმადიანთაგან ერთად-ერთი იყო, რომელიც უმაღლესს სასწავლებელში სწავლობდა. საბრალო ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ გიმნაზიაში დაამთავრა სწავლა და წავიდა უნივერსიტეტში, სადაც დიდის გულ-მოდგინებით შეუდგა საბუნების-მეტყველო მეცნიერების შესწავლას.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!..

## ახალი ამბავი

—

*** თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი ეხლა იმდენად კარგად არის, რომ თავისუფლად დგება და ოთახში დადის. ამბობენ, რომ თავადი იანვრის 15-მდე პეტერბურგში აპირობს წასვლასაო, თუმცა ტყვია ჯერ არ ამოუღიათ, მაგრამ ექიმების სიტყვით, იგი არაფერს საშიშს არ წარმოადგენს და შეიძლება მერეც იქმნას ამოღებულიო.

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, სამშაბათს, 30 დეკემბერს, სახელმწიფო თეატრში დანიშნულია ბენეფისი ბ-ნის არსკისა, რომელიც განაგებს საოპერო დასის საქმეებს. წარმოდგენილი იქნება ოპერა „ბალ მასკარადი“ და დივერტისმენტს გაჰმართავს საბალეტო დასი. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ საოპერო დასის საუკეთესო არტისტები.

*** 27 დეკემბერს, „ტფილისის კრუჟოკში“, ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ბალი იქმნა გამართული. ბალის დიასახლისის, კნეინა ბ. გ. ბარათაშვილის მოხერხებულობისა და თავგამოდებულობის წყალობით საღამომ მშვენივრად და მხიარულად ჩაიარა. ბალს დაესწრნენ, სხვათა შორის, კავალერიის გენერალი თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე, კავალერიის გენერალის თავ. ი. გ. ამილახვარის სახლობა და მრავ. სხვანი. ბალი დილის 7 საათზედ დასრულდა.

*** 30 დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კრება აქვს. ამ კრებაზედ სხვათა შორის წაკითხულ იქმნება დ. მ. როსსინსკის მოხსენება: „კავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარების მიზეზთა შესახებ“ და ა. ა. ქალანთარის მოხსენება: „მინდვრის თაგვებთან ბრძოლის შესახებ“. კრებას არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** დღეს, 30 დეკემბერს, ტფილისში ჩამოვა სომეხთა კათოლიკოსი მკრტიჩ პირველი. კათოლიკოსს სადგურზედ მიეგებება ტფილისის ეპარქიის უფროსი მთავარ-ეპისკოპოსი სურენიანი.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ამით აცხადებს, რომ საახალწლო მისალოც დეპეშების მიღება 26 დეკემბრიდგან დაიწყო და მსურველთ მისალოცი დეპეშები შეუძლიანთ წარმოადგინონ 1 იანვრამდისაო. მისალოც დეპეშებში ადრესის წინ უსათუოდ ნათქვამი უნდა იყოს, რომ დეპეშა „მისალოცია“. ამ სიტყვაში ფული არავის გარდახდება. დეპეშები 1 იანვარს დილით დაურიგდებათ.

*** სახელმწიფო მამულების მმართველის განკარგულებისამებრ სიღნაღის მაზრის ტყის მახლობლად მდებარე საბალახო მინდვრები თუშებს ჩამოერთვათ და პოლიციის პირით გამოეცხადათ, რომ აიყარეთ თქვენის ცხვრით ამ მინდვრებიდგან და სხვაგან გადასახლდითო. თუშები ამ საბალახოებით სარგებლობდნენ საქართველოს მეფეებიდგან დაწყებული დღემდის და დღევანდელმა განკარგულებამ მეტად დააღონა საცოდავნი.

*** სატახტო ქალაქების გაზეთები იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 300 ათას. მან. გადასდო შავის ზღვის პირის გუბერნიაში რუსთა დასახლების საქმის ხელის შესაწყობადაო.

*** სატახტო ქალაქების გაზეთები იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დღეებში მიიღო წესდება შრომის მოყვარეთა თავ-შესაფარისა, რომელიც უნდა დაარსდეს ქ. ტფილისშიო.

*** გაზ. „Mip. Отг.“ იუწყება, რომ კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საქმეს სასჯულო საქმეთა სამინისტრო ამ ახლო მომავალში განიხილავსო.

*** ქ. ოზურგეთი. აზრადა აქვთ, 4 იანვარს აქ ადგილობრივი საზოგადო წიგნთ საცავის სასარგებლოდ საღამო გაჰმართონ. ამ აზრით შედგენილია ცალკე კომიტეტი კნეინა ნ. გურიელის თავმჯდომარეობით. საღამო შესდგება ცოცხალის სურათებისა, საკონცერტო განყოფილებისა და დივერტისმენტისაგან. კომიტეტი ამ საღამოსთვის მიიწვევს არტისტს ვ. ა. აბაშიძეს, მომღერალს ი. კარგარეთელს და ძმათა გურიელებს.

*** სოფ. პრიუტი, (ტფილისის მაზრა). 20 დეკემბერს, თავად შერვაშიძის მოურავი ნ. ასათიანი მამულების დასათვალიერებლად წავიდა და როდესაც უკან დაბრუნდა, ტყეში ვიღაც ბოროტ-განმზრახველები დახვდნენ და თოფის სროლა დაუწყეს. საბედნიეროდ, ასათიანს არც ერთი ტყვია არ მოხვედრია და უვნებელი გამოვიდა ტყიდგან. პოლიცია გაფაციცებით დაეძებს ბოროტ განმზრახველებს, მაგრამ ჯერ ვერ აღმოუჩენია.

*** ბორჩალოს მაზრა. რაც ახალი მაზრის უფროსი დაგვინიშნეს, ჩვენს მოუსვენარს მაზრას მშვიდობიანობა და სიწყნარე დაეტყო. მართალია, აქა-იქით წვრილმანი ქურდობა კიდევა ხდება, მაგრამ პოლიციელთა მეცადინეობით ქურდებს მალე იჭერენ და შესაფერად სჯიან. ამას წინად, მაგალითად, მადნის მწარმოებელს ა. ბ. მოჰპარეს ცხენი, რომელიც ლორის ახლად დანიშნულმა ბოქაულმა კვალიაშვილმა სოფ. შახნაზარში აღმოაჩინა და პატრონს დაუბრუნა. ქურდი-კი სამართალში მისცა.

*** სამეგრელო, 21 დეკემბერი. 14 დეკემბერს ცა სათოვლოდ მოემზადა და დედამიწას თეთრი საბანი დაჰხურა. ბარად ერთს ალაბზედ მეტი თოვლი სძევს, ხოლო მაღლობზედ და მთიანს ადგილებზედ ზოგან ორ ალაბზედ მეტი. გზები შეკრულია და მიმოსვლა შემწყდარი. რაც გინდა დიდი გაჭირვება მიადგეს ადამიანს კარზედ, სოფლიდგან სოფლად ვერ წავა. ხალხი უფრო იმან შეაწუხა, რომ საფქვავი ვერ წაუღიათ წისქვილში. წისქვილშიაც რომ წაიღონ, რად უნდათ, როდესაც წისქვილის ბორბლები ძალზედ გაყინულია. მდინარეები ისეა გაყინული, რომ ფეხით გადის ადამიანი. არ ახსოვთ, რომ მდინარეები ასრე გაყინულიყოს. ზამთრისთვის ხალხი მოუმზადებელია, რადგანაც ტყიდგან შეშა-ფიჩხი ვერ მოუტანიათ. დიდმა თოვლმა ზოგან სახლების სახურავები ჩაამტვრია. ასეთმა მოულოდნელმა დიდმა თოვლმა ყველას საგრძნობელი ზარალი მისცა.

ადგილ-ადგილ ყვავილმა იჩინა თავი, მაგრამ ზარალი ჯერ-ჯერობით არა მოაქვს-რა. ხველამ და სხვამ გააჭირა საქმე...

*** სოფ. ნატოჩაო, (სენაკის მაზრა). 19 დეკემბერს ერთს აქაურს მცხოვრებს ქვრივს მა—თა ქაჩ—იას ცეცხლი გაუჩნდა. დაეწვა სახლი მოწყობილობით. საწყალი ქვრივი მეზობლებთან წასულიყო და ცეც-

ხლი გაუქრობელი დაეტოვებინა, დაეტოვებინა ერთი კატა და გოჭი. ცეცხლის გაჩენას კატასა და გოჭს აბრალებენ. როდესაც ცეცხლი დაინახა, მორთო გულ-შემაწუხებელი წივილ-კივილი: „არიქა, მიშველეთ, დავიწვი“-ო! მეზობლები გაძლიერებულს სტიქიონს ჰხედავდნენ, მაგრამ დროზედ ვერ უშველეს, რადგანაც სარტყლამდე თოვლი იდო, თან აღმოსავლეთის ღონიერი ქარიც ხელს უწყობდა ცეცხლის გაჩენას. სანამ მეზობლები მიეშველებოდნენ, სახლი სულ ერთიანად გადაიწვა.

⁂ ქუთაისი. 26 დეკემბერს ქ-ნ ელენე ჯინოვის თაოსნობით გაიმართა ქუთაისის კრუჟოკში სალიტერატურო-სამუსიკო-საცეკვაო საღამო აქაურის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ რომელიც დაარსებულია განსვენებულის ეპისკოპოზის გაბრიელის სახელზედ. საღამოს მრავალი ხალხი დაესწრო, დარბაზში ტევა არ იყო. დამსწრე საზოგადოებამ ბევრი ისიამოვნა. ყველაზედ მეტად გვასიამოვნა ქ-ნ ლ. ანჯაფარიძის ასულმა, რომელმაც საუცხოვოდ წაიკითხა რუსულად ლექსი პლეშჩეევისა „ნადირობა“. კითხვა ამ ლექსისა ისეთი მოხდენილი და ლაზათიანი იყო, რომ საზოგადოება აღტაცებას ვერ იმაგრებდა და „ბრავოს“ ძახილით ლექსს აწყვეტინებდა. კარგად იგალობეს კნ. ელ. მიქელაძისამ და ბ. კ. მაღრაძემ. ცუდი არ იყო სცენების კითხვაში ბ. ან. გელაზაროვი. შემოსავალი თითქმის 250 მანეთამდის არის. პატივი და დიდება ქ-ნ ელ. ჯინოვისას, რომელიც თავ-გადადებულია იმისთანა კეთილის საქმისათვის, როგორიც არის ეს წიგნთ-საცავი.

⁂ მეაფთიაქეს თანაშემწეს ე. ა. მუჩაიძეს შუამდგომლობა დაუწყვია, ნება მომეცით ქ. სიღნაღში ნორმალური აფთიაქი დავაარსოო.

⁂ უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო ამითი აცხადებს, რომ 1897 წ. 1 ოქტომბრისთვის განყოფილების კასსაში 41,912 მან. 70 კაპ. იყო, ოქტომბერსა და ნოემბერს განყოფილებამ მიიღო 16,005 მან. 63 კაპ., ამავე თვეებში დაიხარჯა 8948 მან. 1 კაპ. და 1897 წ. 1 დეკემბრისთვის 48970 მან. 32 კ. დარჩა. ამ თანხიდგან ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში 9636 მან. 62 კაპ. ინახება, ამავე ბანკის შემნახველს კასსაში 1870 მან. 7 კაპ., იქავე—37105 მან. 13 კაპ. %% ქაღალდებით და ფულად—358 მან. და 50 კაპ.

უსინათლოთა სავადმყოფოში ოქტომბრისა და ნოემბრის განმავლობაში 825 კაცმა დაიწყო სულ ახლად წამლობა და წინად მოსიარულეებთან ერთად სულ 4159 კაცმა იწამლა.

## პეტერბურგის ქართული საღამო

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ერთად-ერთის მუდმივის ცხოვრების სარბიელი უცხო ქვეყნად სწავლის შესაძენად გარდახვეწილ ქართველ ახალგაზდობისათვის, რომელთა უმეტესობაც შეუძლებელია, ადგილობრივი ქართული საღამოა. ასეა პეტერბურგში, მოსკოვში, ხარკოვში და საზოგადოდ რუსეთის ყველა იმ ქალაქში, სადაც ქართველების რაოდენობა ცოტად თუ მეტად ბევრია. მუდმივი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ საზოგადოდ სტუდენტების სასარგებლოდ აქა-იქ ჩვენს სამშობლო ქალაქებში გამართული საღამოები და წარმოდგენები სრულიად შემთხვევითია, იმართება მხოლოდ ერთისა ან ორის ახალგაზდის სასარგებლოდ და ამისათვის ის საზოგადო ხასიათი არა აქვს, რასაც თითონ სტუდენტების მიერ თავისს შეუძლებელ ამხანაგთა სასარგებლოდ გამართულს საღამოზედ ვხედავთ. ამისათვის მთელი წრე სტუდენტებისა, როგორც პაწია საზოგადოება, მაგრამ შეგნებული და თავ-მოყვარე, მხურვალე მონაწილეობას იღებს, ყოველგვარს დამაბრკოლებელს მიზეზსა სძლევს და სცდილობს, რომ ნივთიერად ამხანაგთა დახმარებასთან ერთად საზოგადოებაც ასიამოვნოს და ერთისა და მეორე მხრივაც პირ-ნათელი გამოვიდეს. ეს-კი დიდი მოვალეობაა, თუ სახეში ვიქონიებთ, რომ საზოგადოდ ქართულს საღამოს ქართული ხასიათი ჰქონდეს ი !, სადაც მხოლოდ ერთი მუჭა ქართველია, სამშობლოსა და ყოველსავე მშობლიურს მოშორებული. ხშირად უბრალო რამ ქართული ტანთსაცმელიც-კი რა არის, ისიც ძნელად საშოვნელია, აგრეთვე სიმღერები, იმათი მომზადება და სხ. ყველა ეს იქამდის გაძნელებულია, რომ მთელის თვეობით მზადებას თხოულობს. მეორეს მხრივ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ უცხო ქვეყნად საზოგადოებაც სხვა გემოსი და შეხედულობისაა და ხშირად კარგიც გაუგებარი და მიუხვედრელია მისთვის და მაშინ, ეჭვი არ არის, უფრო ნათლად წარმოუდგება ყველას, თუ რა დიდი შეხამება და შეთანხმება უნდა ყველა ამას.

წელს სრული ოც-და-ათი წელიწადი შესრულდა, რაც პეტერბუგში ქართული საღამო იმართება. ამისათვის მთელის ადგილობრივ მოსწავლე ქართველ სტუდენტების ყურადღება აგერ სამი თვეა სავსებით ამ საღამოსაკენ იყო მიმართული. ოც-და-ათი წელიწადი თუ რომ საიუბილეო არ იყო, სადღესასწაულო მაინც იყო და იგი, ეჭვი არ არის, ბევრად უკეთესი უნდა ყოფილიყო. და, მართლაც, საღამომ საუცხოვოდ ჩაიარა. დავიწყოთ და მთელს საღამოს თვალი გადავავლოთ.

საღამო „ბლაგოროდნოე სობრანიე“-ს დარბაზებში იქმნა გამართული. მთელი შესავალი კიბე, საკონცერტო დარბაზი, მასთან გვერდის ოთახები, ფარდულები და სცენა ქართულს გემოზედ იყო ფარდაგებითა და ხალიჩებით მორთული და ყვავილებითა და გვირგვინებით შემკული. თვით შუა კიბეზედ ძვირფასის ხალიჩების კარავი იყო დაცემული, სადაც ბილეთებსა, საღამოს პროგრამებსა და ჟეტონებს ჰყიდდნენ. ამ რიგად, შესავალიდგან დაწყებული სცენამდე, ყოველივე ადამიანის თვალს იტაცებდა და არა ჩვეულებრივის სანახაობით ასიამოვნებდა.

ხალხი, ჩვეულებისამებრ, ბევრი დაესწრო: აქა ჰნახავდით ქართველს, რუსს, სომეხს, პოლონელს და მრავალს სხვას. ყველა ამათგანი მორთულობასა და ქართველს სტუდენტობას, რომელიც გაფაციცებით დასტრიალებდა სხვა-და სხვა საქმეს და სცდილობდა, აქაც არა გამოჰპაროდა-რა,—პირზედ ღიმილით ადევნებდა თვალს. მოახლოვდა დაწყების დრო, მაგრამ მომსვლელთა რიცხვი მაინც არ ილეოდა. ბოლოს იქამდის გაიტენა საკონცერტო დარბაზი, რომ ხალხი (ფეხზედ მდგომი სტუდენტობა და მოსწავლე ქალები) იძულებული იყო გარეთ, დარბაზის პირდაპირ გასავალი აივანი დაეჭირა.

სრულ $8\frac{1}{2}$ საათზედ დაიწყო I განყოფილება, რომელიც (აქ პირდაპირ № № დავასახელებთ ჯერ, რადგანაც საყურადღებოა, ვგონებ, გაზეთის მკითხველმაც შეიტყოს, თუ რისაგან შესდგებოდა საღამო) შემდეგს № № შეიცავდა:

1) ა) „ლილე“, სვანური სიმღერა,

და ბ) „კუჩხა ბედნიერი“ შეასრულა სტუდენტების ხორომ, რომელსაც ბ-ნი მ. ბალანჩივაძე ჰლოტბარობდა.

2) სონატა როიალისა და სკრიპკისათვის—გრიგასი, შეასრ. ქ-ნმა ვოროტინცევმა და ბ-ნმა ზელიხმანმა.

3) რომანსი—ჩაიკოვსკისა, შეასრულა ბ-ნმა ორეშკოვიჩმა.

4) „ბაგენი ჩემნი სდუმან“—ბლეიხმანისა, შეასრულა ქ-ნმა ჩუბინსკაიამ.

5) დონ-ჟუანის სერენადა—ჩაიკოვსკისა, შეასრ. ბ-ნმა ვეცმა.

6) მონასტერში გატარებული წელიწადი—აპუსტინისა, წაიკითხა ქ-ნმა იავორსკაიამ.

7) არია ოპერ. „თავადი იგორი“—ბოროდინისა, შეასრ. ბ-ნმა ჟდანოვმა.

8) ა, „სამშობლო ხევსურისა“—ბალანჩივაძესი,

და ბ) „გოგონა“, შეასრულა ხორომ.

თითოეული № I განყოფილებისა რამდენჯერმე იქმნა განმეორებული. ხალხი და მასთან სტუდენტობა სხვა-და-სხვა ეროვნებისა აღტაცებით ეგებებოდა თითოეულს მათგანს, ტაშის კვრასა და „bis“-ის ძახილს დასასრული არა ჰქონდა. განსაკუთრებული ყურადღება მიიზიდა „გოგონამ“ და იგი მრავალჯერ იქმნა გამეორებული. აღტაცებით მიეგება ხალხი აგრეთვე ქ-ნს იავორსკაიას და საზოგადოების თხოვნით რამდენიმე სხვა ლექსიც წაიკითხა.

მეორე განყოფილება ხომ ანდამატი იყო საღამოსი. ჩვენი თუ უცხო, ყველა გულის ფანცქალით მოელოდდა იმ წამს, როდესაც ქართულ ოპერის „თამარ ცბიერის“ სცენას მოისმენდა. დადგა ის წამიც. ორკესტრმა ტკბილ ქართულ კილოზედ ნანა დაუკრა. მართლაც ეს დასაწყისი საუცხოვო რამ იყო. აიხადა ფარდა და სცენაზედ გამოჩნდნენ: თამარი, რომელსაც საჩრდილობელს ქვეშ სძინავს, მის გვერდით სდგას ქართულად ჩაცმული ცირა და საკრავით ხელში ძილის პირს უმღერს დედოფალს. იქვე ქალთა გუნდი (ქალების ხორო, ქართულად ჩაცმული) ტკბილად უწყობს ხმას. ეს ადგილი საზოგადოდ მშვენიერი რამ იყო; მეტადრე ცირას პირველი დაწყება და ქალების გუნდის მიერ ნამღერები ადგილები ნამდვილის ქართულ კილოთია შემუშავებული. ცირას (ასრულებდა ქ-ნი გუშჩინა) როლი უნაკლულოდ იქმნა შესრულებული და მართლაც იგი სიმპატიურია. ამისათვის ჯერ ისევ სცენის დამთავრებამდე საზოგადოებამ მოთამაშე ქალი რამდენჯერმე დააჯილდოვა ტაშის კვრით. საზოგადოდ მთელმა სცენამ ძალიან კარგად ჩაიარა, ხალხი აღტაცებით მიეგება და მოთამაშენი, მათთან ერთად ბ-ნი ბალანჩივაძეც, მუსიკის დამწერი, მრავალჯერ გამოიწვია და ტაშითა და ვაშას ძახილით დააჯილდოვა. ბოლოს სცენაზედ კვლავ გამოჩნდა სტუდენტების ხორო და აღტაცებულის საზოგადოების დასაკმაყოფილებლად ბალანჩივაძეს „მრავალ-ჟამიერი“ უმღერა. „მრავალ-ჟამიერმა“ საზოგადოება დიდად ასიამოვნა. ამისათვის კვლავ რამდენჯერმე იქმნა განმეორებული.

ერთის სიტყვით, სტუდენტების ცდამ, რომ ს. პეტერბურგის მე XXX ქართულს საღამოს ნამდვილი ქართული ხასიათი ჰქონოდა, ფუჭად არ ჩაიარა და საღამო ყოველ მხრივ უნაკლულო იყო. სხვათა შორის, ოპერიდგან ამოღებულ სცენის შესახებაც რამდენიმე სიტყვა. სწორედ ეს ზემოდ აღნიშნული სურვილი იყო მიზეზი, რომ სტუდენტობამ მიჰმართა ბ-ნს ბალანჩივაძეს და ეს სცენა დაადგმევინა. მართალია, ამას მეტი ხარჯიც მოჰყვა, მაგრამ დღეს სტუდენტობა მაინც კმაყოფილია, რომ თავისს მხრივ ყოველივე იღონა და საზოგადოება ასიამოვნა.

ოპერიდგან ამოღებულმა სცენამ ყველა დიდად ასიამოვნა. რაც შეეხება მისს მუსიკალურად დაწვრილებით გარჩევას, ამას სპეციალისტებს მივანდობთ. სასურველია მხოლოდ, ავტორმა მოუჩქაროს და ნამდვილი ქართული ოპერა სრულიად მოგვასმენინოს.

საკონცერტო განყოფილება 12 საათზედ გათავდა. დაიწყო ახლა ცეკვა. უზარმაზარს დარბაზში, სადაც ორი ათასამდე სული ადამიანი ტრიალებდა, უცბად წრე შეიკრა და სალამურისა და დოლის ხმა მოისმა.

# ფელეტონი

## ნადირთა სასამართლო

ე. კონისა.

(შემდეგი *)

ვექილის სიტყვის დამთავრებისათანავე თვალების ბრიალით წამოხტა მელა, კუდი მაღლა აიშვირა, წინა ფეხი ვექილისაკენ გაიწოდა და დაიწყო:

— მისი როშვა მაიძულებს პასუხი გავცე! მისის სიტყვის კრიტიკულად განხილვასა და დაფასებას არ შევუდგები,—„peu memporte“-ს ვექილის აზრია! მაგრამ მან წამოროშა სიცრუე, გაჰბედა და შეეხო ისეთს საგანს, რომ სიბრაზისაგან მთელს ძარღვებში სისხლი მიდუღს და ჩემი მხეცური პატიოსნება ნებას არ მაძლევს გავჩუმდე. ბატონნო მსაჯულნო, თქვენ უკვე მოისმინეთ, რომ ვექილმა გაჰბედა და თქვენ წინ წამოროშა, ვითომ კაცს ჩვენს წინაშე უპირატესობა ჰქონდეს, ბატონი იყოს და საუკუნოებით მოეპოვებინოს ბუნებრივი მეფობა. გამოტეხით ვაღიარებ, თვით ძაღლის სიბრიყვისაგან არ მოველოდი ამას. ეს ზღაპრები, ეს არაკი არა ერთხელ და ორჯელ გვსმენია თვით კაცისაგან, მაგრამ განა ერთს მაინც არის პატიოსანს მხეცს იგი დაუჯერებია. არც ერთს და არას დროს! კაცი ბუნების მეფეაო!! ეს რომ სულისა და გულის აღმაშფოთებელი არ იყოს, პირველი მე გავიცინებდი. პირიქით, ადამიანი შესაზარი, მავნებელი და უტვინო ცხოველთაგანია. იგი მეფეა ბუნებისა, მერე სად არის მცირედი რამ მაინც ამისი დამამტკიცებელი საბუთი, სად არის სიგელი, მოწმობა, ფირმანი და სხვანი. ვინ აკურთხა კაცი ბუნების მბრძანებლად? როდის? სად? არ ვიცით და არც გვეცოდინება, რადგან ეს არსად არა ყოფილა. დიახ, მე ვამტკიცებ, რომ არა ყოფილა! ქვეყნიერების დასაბამიდგან ყველა ცხოველი დაბადებულა და ყველანი თანასწორნი არიან, ვეფხვი და თაგვი, ლომი და ჭია, ადამიანი და მუმლი, ყველა თანასწორია, ყველას ერთი აქვს ზნე, რომელიც თანასწორედა ჰზრდის, ერთი ერთმანეთს ამზგავსებს, ერთგვარად უქვემდებარებს და პასუხის-მგებელად ჰყოფს ბუნების მბრძანებელის წინაშე. ეს ნიშანი ჩვენში დანერგილია საიდუმლოდ და ეწოდება საიდუმლო არსებობისა. რაც უნდა უწოდოთ სახელად ამ საიდუმლოს, იგი განურჩეველია ყოველ არსებაში; საიდუმლო ამოქმედებს ბებერას და აქსოვინებს წმინდა აბლაბუდას, ფუტკარს ყვავილებიდგან თაფლს აწოვინებს და ფრინველთ ბუდეს აკეთებინებს. ეს საიდუმლო არავის გამოუცვნია და, რასაკვირველია, არც უმეცრებით თვალებ-აბმულს კაცს... ეს საიდუმლო ჩვენი შინაგანი, ყველასათვის დაფარული სამყაროა. დაუსრულებელის საუკუნეების განმავლობაში ვერც ერთმა ბრძენმა ვერ შესძლო აეხადა თვით ერთი კუთხეც-კი იმ ფარდისა, რომელიც ჰფარავს ამ საიდუმლოს; არც ერთს უმაღლესს გონება-ნიჭს არ გამოუგონია ისეთი მანქანა, რომ აამოძრავოს ეს საიდუმლო, რომლის აღდგენაც არ შეუძლიან. საუბედუროდ, არსებობის მოთხოვნილებამა და ამ საიდუმლოს დაცვის საჭიროებამ გამოიწვია საშინელი, სასტიკი და ბოროტი კანონი: ძლიერთა უფლება. ამ უფლებით ვსარგებლობთ ყველანი უძლურთა წინააღმდეგ! ამ უფლების ძალით ნება დაურთველად ვართმევთ სუსტთ იმისს საიდუმლოს, ე. ი. სიცოცხლეს. მუდმივ სხვის უფლებათა დარღვევას ჰქვიან არსებობისათვის ბრძოლა. განა უბრძოლველად შეიძლება ცხოვრება? იქნება შესაძლებელიც იყოს, მაგრამ ეს ჩვენ ჯერ არ ვიცით. განა ყოველგან, ყველა მხეცთ არსებობისათვის ბრძოლა ერთ გვარი არა აქვთ? დიახ, ყველა მხეცთ არსებობისათვის ბრძოლა ერთ გვარი აქვთ, ადამიანის გარდა. მხეცი თავისსავე მაგ გვარს არსებობასა ჰკლავს მხოლოდ იმიტომ, რომ შიმშილი მოიკლას და თვისი არსება, თვისი სიცოცხლე დაიცვას. ადამიანი-კი ცხოველებს ჰხოცავს ფულისათვის, სიკეკლუცისათვის, არაფრისათვის, ქება-დიდებისათვის და ხშირად-კი უმიზეზოდაც. ადამიანი სხვის სიცოცხლეს სთრგუნავს მხოლოდ იმიტომ, რომ ყურზედ ჩამოიკიდოს ბრწყინვალე უსარგებლო ქვები, რომ მოიპოვოს ქება, რომელსაც მყისვე ყველა ივიწყებს, მოიპოვოს დიდება, რომელსაც ყველა ულირსადა და დაუმსახურებლადა სთვლის. განა გინახავთ, რომ მხეცნი ერთმანეთს ათასობითა და ათი ათასობით ჰხოცავდნენ ერთის ციცქნა დედა-მიწის გამო, რომელიც უიმისოდაც ყველასათვის საკმარისია. ადამიანნი-კი ამის გამო სისხლსა ჰღვრიან მდინარესავით. განა გინახავთ, რომ მხეცმა მხეცი მოჰკლას, არა შიმშილის ასაცილებლად, არა შვილების გამოსაკვებად, არამედ იმიტომ, რომ მოკლული ცხოველი სხვა მხეცს მისცეს საწოლის, სოროს, დიაცის, ანუ სხვა გემრიელის საჭმელის ნაცვლად? არა, ეს არ გინახავთ! ადამიანი-კი სწორედ

*) იხ. „ივერია“ № 267.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ლეკური, ლეკურიო!" გაისმა ყოველმხრივ და საცეკვაოდ გამოსრიალდა საიმპერატორო თეატრის ნიჭიერი მოცეკვავე-ქალი ქ-ნი პეტიპა, რომელსაც ქართველობა და ქართული სალამო სულითა და გულით შეუყვარებია. პეტიპასთან ლეკურს თავ. ი. მაყაშვილი სცეკვავდა და მართლაც საუცხოვო სანახავები იყვნენ. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მერე იცეკვეს ქ-ნმა არლანმა და ბ-ნმა მუსხელიშვილმა. ესენიც ისეთისავე აღტაცებულისა და ხანგრძლივის ტაშის კვრით დააჯილდოვეს. ლეკურს მოჰყვა აბხაზური, დავლური და სხ.

ეროვნულ ცეკვა-თამაშის შემდეგ ევროპიული დაიწყო და ნასიამოვნები საზოგადოება ღამის 4 საათამდის გატაცებით სრიალებდა დარბაზში.

შამპანიურსა და ხილს ფარდულებში ქ-ნი პეტიპა და სხ. ჰყიდიდნენ.

ქართველმა სტუდენტებმა ბ-ნს ბალანჩივაძეს ვერცხლის კალამი, ყარანდაში და ქაღალდის საჭრელი დანა მიართვეს წარწერით.

ინ—ანი

## თეატრის მატიანე

„სამშობლო", დრამა დ. ერისთავისა

კვირას, 28 დეკემბერს, ქართულის თეატრის არტისტებმა წარმოადგინეს ცნობილი პიესა დ. ერისთავისა „სამშობლო". წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და ისეთის აღტაცებით ადევნებდა თვალყურს ამ წარმოდგენას, რომ ნათლად სჩანს—პიესა კიდევ დიდხანს დაატკბობს და ასიამოვნებს ჩვენს საზოგადოებას. სვიმონ ხიმშიაშვილის როლს თამაშობდა ბ-ნი გამყრელიძე და ძლიერ კარგადა, დიდის დაკვირვებითა და ხელოვნებით შეასრულა ეს როლი. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ „სამშობლომ" ამ დღეს კარგად ჩაიარა და საზოგადოებამ ისიამოვნა, ბ-ნის გამყრელიძის ნიჭისა, უნარის და ხელოვნებით სავსე თამაშობის მადლობელი უნდა იყოს. ქ-ნს ე. მესხს და ბ-ნს სვიმონიძესაც არა უჭირდათ-რა. კარგად შეასრულა ქ-მა კარგარელისამ შაჰის ავადმყოფ ქალიშვილის ფაიხოშის როლი. თავ. დადიანის როლის ამსრულებელს ბ-ნ მჭედლიშვილს თავისი გარეგნობა ლამაზად მოეგრიმლებინა.

შემდეგი ქართული წარმოდგენა დანიშნულია 1 იანვარს. წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა ბ-ნის პეტრე უმიკაშვილისა „სამზადისი" და სამი მოქმედება დ. ერისთავის კომედიიდგან „გაყრა".

ნ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ფშაველი,** (თელავის მაზრა), 24 დეკემბერი. აწინდელი აღებმიცემობა, ვაჭრობა, ჩვენს ქვეყანაში, ყველა დამეთანხმება, რომ მარცვა-გლეჯაა, ჯიბიდგან ფულის პარვა და სხვა არაფერი, მეტადრე სოფლად. მაშ როგორა ხდება ეს, რომ, ვხედავთ, ერთს დღეს გაჩნდა ვინმე ცხრა-თოკიდგან გამოქცეული, მშიერ-ტიტველი რომელსამე სოფელში, მიახუხულავა ცხრა-ათ ფიცრიანი ქოხი, რომელიც დუქნად მონათლა, სულ ორ-სამ თუმნად ღირებული „შეშვედი" დაალაგა შიგ და დაიწყო ვაჭრობა, ან უკეთ რომ ვთქვათ, პარვა თვალდათვალ. მერე და მერე, რამდენისამე წლის შემდეგ, ვეღარა ვცნობთ: იმან თავის მარცვა-გლეჯის ქოხი მაღაზიად გარდააქცია, სოფელში მამულები და ვენახები შეიძინა, დამართა არყის ქარხნები, დაიწყო ღვინოების და მატყლის „სუმიანად" ყიდვა-გაყიდვა, ქალაქშიაც (იგი მოქალაქეა) თავისი ქოხი „ატაყიან" სასახლედ აქცია, თვითონაც სხვა სახე და იერი მიიღო, ცოლიც კნეინას დაამსგავსა, შვილებს გიმნაზიისათვის ამზადებს და თუ წინად გროშებზედ ლაპარაკობდა, ეხლა ათას თუმნობით ანგარიშობს! მაშ ვინ აშენდება ასე სწრაფად, თუ არ ქიარიმაები და ვიღაც ალიბეგები, განჯისა და ერევნისაკენ მონავარდენი და შემდეგ სარჩობელას მორიდებულნი, სპარსეთში ან ოსმალეთში გარდახვეწილები?! მერე ამ გვარის ვაჭრობით ავაზაკობა როგორ ნორმალურ მოვლენად მიაჩნიათ ჩვენს ვაჭრებს, ვერ წარმოიდგენს ადამიანი! „ვაჭრობაში რომ მანათიანი ათ მანათადაც გავყიდო, ეს პარვა და ცოდვა-კი არა, ვაჭრობაა, ნუ მოსტყუვდები, ჩემი რა ბრალიაო", გაიძახიან ჩვენი ვაჭრები. ჰო, მოსეს მცნებაში: „არა იპარო" ერთი სიტყვაც არ არის ვაჭრობაზედ, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ უწესო და ზემორე აღნიშნულ დედა-აზრის ვაჭართ იესო ქრისტემ ავაზაკები უწოდა და ტაძრიდგან განსდევნა.

ქალაქი კიდევ ასე თუ ისე გაგებულია, ვაჭრები ქალაქში მცხოვრებთ აგრე რიგად ვერ მოატყუებენ, ამ შემთხვევაში სოფელს უფრო უჭირს, სოფელი უფრო საბრალოა. ამიტომაც რამდენად სასიხარულო იქნებოდა სოფლის კეთილის მოსურნეთათვის მთავრობის წრევანდელი განკარგულება, რომ სოფლის საზოგადოებათ ამიერიდგან ნება ეძლევათ, არც ერთი მოვაჭრე არ გააჭაჭანონ თავისს საზოგადოებაში, თუ რომ ამ საზოგადოების ნებართვის მოწმობა არ ექნებათ, ამას ყველა მიხვდება. აი, მოვიდა ამ განკარგულების აღსრულების ვადაც. სოფელი სიხარულით ამბობდა: სასმელებით ვაჭრობის გარდა, სხვა ვაჭრობაც ჩვენი კითხული იქნება ჩვენს საზოგადოებაში, აგებ ეხლა მაინც მოვიშოროთ ეს სისხლის მწოვარი ვაჭრები თავიდგანაო, მაგრამ, —რა ბრძანებაა! ვაჭრებმა წინანდებურად აიღეს ხაზინიდგან „მელოჩნის" „პატენტები" და დაბრძანდნენ არხეინად, თითქოს სოფელს ნიშნს უგებენო, აკი ვერ აგიღებდით თქვენ დაუკითხავადაო. საზოგადოებაც სახტად დარჩა და გაიძახის: სად გაქრა ის წრევანდელი განკარგულებაო? მართლაც, საკვირველია, სად გაქრა! არა მგონია, რომ ეს სოფლის სისხლის მწოვარ ვაჭრებისაგან დამხსნელ მთავრობის განკარგულება გაუქმებულიყოს! იქნება ასეც მოხდა, ჩვენ ეს არ ვიცით. ბეჩავნიც იმიტომა ვართ სოფლელნი, რომ მთავრობის კანონი და სამართალი ჩვენამდე ძვირად აღწევს ხოლმე! რაკი ასეა, საჭიროა, ჩემის ფიქრით, რომ, თუ სოფლის ავ-კარგის გამგეთ სოფლისათვის კეთილი უნდათ, მთავრობის კანონს, სოფლის და საზოგადოების სასარგებლო გამოცემულს, დაუყოვნებლივ აცნობებდნენ ხოლმე სოფლის მოხელეთ ხალხში გასავრცელებლად.

არავისთვის არის დაფარული, რომ ვაჭარი, როცა საზოგადოება სასმელებით ვაჭრობის ნებას არ აძლევს, ბევრს ხრიკსა ჰხმარობს, რომ როგორმე სოფელს მოწმობა დასტყუოს: იგი ამითაც აშინებს, რომ თუ მოწმობას არ მომცემთ ღვინო-არაყით ვაჭრობისას, წვრიმლის „პატენტი" ხომ სულთა მაქვს, სულ ერთია სასმელებს მარნიდგანა და „ზავოდიდან" გავყიდიო. მერე სადა აქვს მარანი და „ზავოდი" ვაჭარს? იქვე, დუქნის მეორე ოთახში, ქვევრები ჩაუყრია, „ბოჩკები" და ტიკები დაულაგებია, შიგ ღვინო-არაყი ჩაუსხამს და მარანს ეძახის, ეძახის და სარგებლობს კიდეც! „ზავოდიც" იქვე ახლო აქვს, ვინ არის ყურის მგდებელი, თავისს ქეიფზედ იქცევა... ამ შემთხვევაშიაც, ვფიქრობ, საჭიროა გაირკვეს და ეცნობოს საზოგადოებათ: აქვთ თუ არა ნება მედუქნეთ დუქანში მარნის გამართვისა და ისიც, ქარხნიდგან რა წესით შეუძლიან მედუქნეს სასმელების ყიდვა!

სოფელ ფშაველში სამის მიკიტნის დუქანია თავის მარან-„ზავოდებით", სამი ფარჩისა, სამი მეჩოხისა, ორი მეტუავესი და ამდენივე სხვა-და-სხვა სავაჭროსი. ახლა ვინ მოსთვლის, რამდენი ჩარჩი მეწვრილმანე და ფეხზედ მოვაჭრე, მუქთახორა დაწანწალებს სოფლად. დღე არ გავა, რომ თითო მეკომურს ორმა და სამმა ვაჭარმა არ შეუძახოს: ივაჭრეთ, ივაჭრეთო!! აი, ამოდენა სისხლის მწოვარ ობობების მოშორება და ალაგმვა, შეთხლება მოიწადინა საზოგადოებამ, მაგრამ როგორცა გნახეთ, საუბედუროდ, არა ხერხდება ჯერჯერობით.

ფშაველიშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „კავკასის" გუშინდელს №-ში სწერია: „ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რომ რამდენმამე მასწავლებელმა ქალმა გადასწყვიტა ღარიბ ბავშვებისათვის შობის ხე გაემართათ. იმათ თანაგრძნობა და დახმარება აღმოუჩინეს „ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებამ" და ზოგიერთებმა სხვებმაცაო. გაზ. „Тиф. Лист." მე-295 №-ში ბ-ნი Novus-ი ამ „შობის ხის" გამართვის შესახებ შემდეგ საოცარ სიტყვებსა სწერდა:

„ღარიბთათვის შობის ხის გამართვა მეტად კარგია, მაგრამ ეს შრომა და ფული, უკაცრავად არ გახლდეთ, სისულელეზე იხარჯება. რა საჭიროა ამგვარად ხარჯვა ნელსაცხებელისა: უკეთესი არ იყო განა, გაეყიდათ და ღარიბთათვის დაერიგებინათ ფული? ეს სიტყვები მაცხოვრისა სწორედ ამ შემთხვევის შესაფერიაო".

ეს სიტყვები მაცხოვრისა-კი არ არის, იუდა ისკარიოტელის სიტყვებიაო, სწერს „კავკასი" და ამის დასასაბუთებლად შემდეგი ადგილი მოჰყავს სახარებიდგან:

„მარიამ მოიღო ლიტრა ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოსა, მრავალ-სასყიდლისა, და ჰსცხო ფერხთა იესოსთა, და თმითა თვისითა წარჰხოცნა ფერხნი მისნი, და სახლი იგი ყოველი აღივსო სუნნელებითა მის ნელსაცხებელისათა. ჰსთქვა ვინმე ერთმან მოწაფეთა მისთაგანმა, იუდა სვიმონისმან ისკარიოტელმან, რომელსა ეგულებოდა მიცემა მისი: რაისათვის ნელსაცხებელი ესე არა განისყიდა სამასის დრაჰკნის და მიეცა გლახაკთა? ხოლო ესე სთქვა, არა თუ გლახაკთა რაიმე ზრუნვა ედვა გულსა მისსა, არამედ რამეთუ მპარავი იყო"...(სახარება იოანესი, თავი 12)

რა აზრისა, გონებისა და ცოდნისა უნდა იყვნენ ის კაცები, რომელთაც ერთი ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევიათ სიტყვანი მაცხოვრისა და იუდა ისკარიოტელისაო?!. ჰკითხულობს დასასრულ „კავკასი". ვნახოთ, ისკარიოტელის მოძღვრების მიმდევარნი რასა ჰბრძანებენ?!.

## რუსეთი

—

ბეჭდვის საქმეთა მმართველობას განუზრახავს პროვინციის ჟურნალ-გაზეთობა ცენზურისაგან გაანთავისუფლოს. ჯერ-ჯერობით კიევის ჟურნალ-გაზეთობა იქმნება თურმე განთავისუფლებული და შემდეგ ყოველ პროვინციის ჟურნალ-გაზეთობა.

— უმაღლესს სამხედრო-სამკურნალო მმართველობამ ამ დღეებში განმარტა, რომ თავისუფალ ჯარის კაცად (вольноопредѣляющійся) შეიძლება ისეთნიც იქმნენ მიღებულნი, რომელთაც თვალთ აკლიათ, რადგან სწავლის დროს ნება აქვთ სათვალეები ატარონო.

— საერო განათლების სამინისტრომ ყოველ სამოსწავლო ოლქის

---

ამისათვის ჰხოცავს ნადირთ! განა გინახავთ, რომ ნადირმა სხვისთვის, უცნობისათვის, და არა თავისთვის ვინმე მოჰკლას? ვგონებ რომ არა! ადამიანი-კი სწორედ ასე იქცევა. შეჰხედეთ დამნაშავეს, იგი ჰხოცავდა ბატებსა, ქათმებსა, ხბოებსა, გოჭებსა, ხარებსა და ძროხებს და აბა ჰკითხეთ: იმათი ხორცი ერთხელ მაინც არის უჭამია? არა და არა. იგი ჰხოცდა მხოლოდ იმიტომ, რომ წაეღო ქალაქში, სხვისთვის მიეყიდნა და ამ ფულით ეყიდნა თავისთვის მავნე არაყი, ცოლისათვის უსარგებლო თავშალი, ანუ სხვა რამე ამგვარი გამოუსადეგარი ნივთი. ადამიანი რომ ბუნების მეფე იყოს, გამოსძებნიდა რაიმე საშუალებას არსებობისათვის ბრძოლის მოსასპობად და ამ ბრძოლას ბუნების აუცილებელ კანონად არ გარდაჰქმნიდა. ადამიანია მეფეა ბუნებისაო! რადა მერე? ჩვენზედ გონიერია? არა? იმას თავისი ჭკუა აქვს და ჩვენ-კი ჩვენი, ხშირად უფრო ნათელი და გამჭრიახი. ამას გარდა, ჩვენ გვაქვს ალღო, შინაგანი ხმა, რომელიც ადამიანს არა აქვს. ის, რასაც იგი ეპოტინება უქნარასავით მხოლოდ სხვის ჩაგონებით თვალებ-ახელილი, იგი ჩვენ დაბადებისათანავე გვეძლევა. ბუნებამ ჩვენ ადამიანზედ უფრო უხვად დაგვაჯილდოვა. ჩვენ ვიბადებით საცმელით, რომელიც ზამთარ ზაფხულში გამოსადეგია; ჩვენ დაბადებისათანავე ვიცით, ავადმყოფობის დროს რითი მოვირჩინოთ თავი და ვირჩენთ კიდეც ყოველს ჭრილობას. ჩვენ სხვის შველას არა ვსაჭიროებთ; ყველაფერს ჩვენ თითონ გავაკეთებთ. უსწავლელად, გიმნაზია-უნივერსიტეტებში შეუსვლელად, ექიმებად, ხუროთ-მოძღვრებად, მიწის მზომელებად და ყოველისავე საქმისათვის საჭირო ცოდნით აღჭურვილნი ვიბადებით. ადამიანმა ყველა ეს უნდა შეისწავლოს და უსწავლელი ნასწავლს მიჰმართავს ხოლმე. განა ბუნებისაგან ჩვენზედ უხვად არის იგი დაჯილდოვებული?განა ჩვენ ადამიანზედ უფრო ზნეობიანი და პატიოსნები არა ვართ? ეს ხომ სალაპარაკოც არ არის. ადამიანმა ცხოვრების კალაპოტი თვით გამოაწყო, მაგრამ ამ ცხოვრების კალაპოტს ჩვენ ადამიანზედ უფრო მკვიდრად მივდევთ, ყველასა გვწამს ჩვენი სიცოცხლე და ადამიანს-კი არა! ჩვენ უსარგებლოდ არასა ვხოცავთ, იგი-კი მრავალს და მრავალჯერ. ჩვენ თუ ვიპარავთ, ვიპარავთ მხოლოდ საჭიროს, ადამიანი-კი... ბატონებო, აიღეთ სადმე თუნდა ერთი უვარგისი, გატეხილი თიჲბრის ღილი, დააგდეთ იგი ჩვენის ტყის მიუვალს ალაგას და ჰნახავთ, რომ ხვალვე ასობით ადამიანი გაჩნდება იქ, რათა ეს იმისათვის უვარგისი ნივთი მოიპარონ. ესეც კმარა! ზნეობით ჩვენ მაღლა ვდგევართ თუ არა? განა გაგიგონიათ, რომ ნადირთა შორის (კატას არ ვთვლი, რადგან იგი განახევარ კაცებულია), ხვადმა თავისი მეუღლე ქვეყნის ანაბარად დასტოვოს. ან ძუ ნადირს რამდენსამე ხვადთან ჰქონდეს კავშირი? არა და არა! ადამიანთ ეს მოვლენა ჩვეულებად გარდაექცათ, ყოველი ნადირი მხოლოდ თავისის ბუდისა, სოროს, საწოლისა და ოჯახისთვის ჰშრომობს, ადამიანს-კი ეს ფიქრადაც არ მოსდის. მაგრამ ღირს-ღა სიტყვის განმეორება! განა ადამიანის ყველა ვერაგობა ჩამოითვლება? და აი, ეს უზნეო, უტვინო, ურწმუნო, სისხლის მწოველი არსება ნებას აძლევს თავისს თავს და ნადირთა პატიოსნობისა, ქმნილებათა შორის უპირველესობას იჩემებს. ეს კიდევ რა, აქ ვიღაც ძაღლის შვილი, ვექილი ადამიანისა, ჰბედავს და ამას თქვენ წინ ხმა მაღლა ამბობს. ეს ხომ, ნადირნო, აღემატება ძაღლის ყოველ უბედობას! მეტი აღარ შემიძლიან, დიდად აღელვებული ვარ და დარწმუნებულიცა ვარ, რომ თქვენ ჩემზედ ნაკლებად არა ხართ აღელვებულნი, ამიტომ ამითი გავათავებ, მხოლოდ ორს სიტყვას დავძენ. ნუ დაივიწყებთ, რომ როცა ჩვენ კაცსა ვტაცებთ „მისს საკუთრებას", როგორც დაცინვით ჰბრძანა ძაღლმა, — მაშინ ჩვენ გულადად, გაბედვით და კეთილ-შობილურად ვიქცევით! თვით სიცოცხლესაც-კი ვწირავთ, რადგან პირდაპირ მივდივართ და არ ვერიდებით კაკანათს, ხაფანგსა და ტყვიას. ადამიანი-კი უბედურს ცხოველებს ჰხოცავს უშიშრად, დაუსჯელად, დაუფარავად და თვალ-საჩინოდ. მეტი აღარა მაქვს-რა სათქმელი.

დათვმა თავისი გაბანჯღვლული თავი წამოიწია და მედიდურად წამოიძახა:

— ვუცხადებ, რომ ორივე მხარემ კამათი დააბოლოვოს.

— მე მინდოდა, —დაიწყო ძაღლმა.

დათვმა მკაცრად განუმეორა...

— კამათი დაბოლოვებულია.

— მხოლოდ ორი სიტყვა, —ეხვეწებოდა ძაღლი.

— ნახევარი სიტყვის თქმის ნებასაც არ გაძლევთ.

— ღრრ... გაიღრინა ვექილმა და თავისს ალაგზედ დაჯდა თავ-მომწონედ.

— გთხოვთო, ენის წკლაპუნით წამოიძახა მელამ: განაჩენში ჩასწეროთ, რომ ვექილმა თავისს თავს ნება მისცა და სთქვა „ღრრ"...

მელიას სურვილი ასრულებულ იქმნა.

ი. კახელი

(დასასრული იქნება)

მზრუნველს ცნობები მოსთხოვა იმის შესახებ, თუ რომელი საზოგადოება შუამდგომლობს სამრეწველო სასწავლებლის დაარსების შესახებ და რომელ ადგილას უფრო კარგი იქმნება, რომ ამ გვარი სასწავლებელი იქმნას დაარსებულიო.

— ფინანსთა სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა ყოველ საგუბერნიო და სამაზრო ხაზინების მმართველთ, რომ 1 იანვრამდის უსათუოდ გამოჰგზავნეთ ის შავი და ვერცხლის ფული, რომელიც სახმარებლად აღარ ვარგაო.

— მოსკოვის მკურნალთა საზოგადოებას შუამდგომლობა დაუწყია საერო განათლების სამინისტროს წინაშე, რომ ნება მოგვეცით საფარმაცევტო კურსები დავაარსოთ ქალთათვისო და ამ აზრით წარუდგენია სამინისტროში უკვე შემუშავებული პროექტი კურსების დაარსებისა. სამკურნალო საბჭო თანაგრძნობით მიეგება თურმე ამ პროექტს.

— განზრახულ რკინის გზათა სააქციონერო საზოგადოებების წარმომადგენელთა კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს თურმე პროექტი იმის შესახებ, რომ საჭიროა რკინის გზის ყველა მოხელეები დაზღვეულ იქმნან ხოლმე სამსახურის აღსრულების დროს მომხდარ უბედურებისაგან უზრუნველ-საყოფელადაო.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** „დალციედის სააგენტოს“ სწერენ შანხაიდგან: „ამ ჟამად იაპონიისა და ინგლისის მთავრობის შორის დიდი მოლაპარაკებაა. იაპონია ყოველ ღონესა ჰღონობს, რომ ინგლისს შეურიგდეს და დაუახლოვდეს. იმას აზრადა აქვს ისეთივე წინააღმდეგობა გაუწიოს ჩინეთის საქმეში რუსეთსა და გერმანიას, როგორიც მათ საფრანგეთთან ერთად 1895 წელს გაუწიეს იაპონიას, როდესაც ეს უკანასკნელი პორტ-არტურის შენარჩუნებას აპირებდა. იაპონიამ წინადადება მისცა ინგლისს, რო ჩინეთი ჩვენის ზედამხედველობის ქვეშ ვამყოფოთო. იმისის აზრით ინგლისმა უნდა განაგოს ჩინეთის ფინანსები, გარდასახადების საქმე, ზღვათა უწყება და სახელმწიფოს რკინის გზები, ხოლო იაპონიამ უნდა ჩაიბაროს სამხედრო უწყების მმართვა-გამგეობა და მთა-მადნის წარმოება“.

**კრიტი.** ჩვენ ამას წინად ნათქვამი გვქონდა, რომ ევროპის სახელმწიფოთ, კრიტის გენერალ გუბერნატორის თანამდებობის კანდიდატად ჩერნოგორიის მთავრის ბიძაშვილი ბ ნი პეტროვიჩი დაასახელესო. ეხლა გაზ. „Times“ იუწყება, რომ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ უარ ჰყვეს პეტროვიჩის კანდიდატურა კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ. იმავე გაზეთის სიტყვით, ელჩთა უკანასკნელ კრებაზედ რუსეთის ელჩმა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ საბერძნეთის პრინცი გიორგი დაასახელა კანდიდატადაო.

**ოსმალეთი.** კონსტანტინოპოლიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „Frankfurter Zeitung“-ს, რომ რუსეთის მთავრობამ ერთხელ კიდევ მოსთხოვა ოსმალეთს, დარჩენილი სამხედრო გარდასახადი მომეციო. პორტას აზრადა აქვს ჯერ ჯერობით რუსეთს 250,000 გირვ. სტერლინგი მისცესო.

## დამაკვირდი

მადლობის გარდახდა იგივეა, რაც გაშრული პატიოსნება: კაცს იხდიან იმიტომ-კი არა, რომ პატიოსნად მოიშორონ მოვალე, არამედ იმიტომ-რომ შემდეგისათვის ნდობა მოიპოვონ.

ლაროშფუკო

***

რამდენადაც გონება ბნელდება და კლებულობს, იმდენად გნებათა ღელვა ძლიერდება.

***

ადამიანის ბედნიერება და უბედურება ხშირად თვით იმისის ხასიათისაგან არის დამოკიდებული და არა ხვედრისა და ყისმათისაგან.

ლაროშფუკო

## შვილებს

მივმართავ ქართველ შეძლებულ პატარა ქალ-ვაჟთ და ვთხოვ ამ ბრწყინვალე დღესასწაულებში, როდესაც ყოველი სიხარული და ბედნიერება მოგელით, როდესაც ყოველი დროს-გასატარებელი ალაგის კარი ღიაა თქვენთვის, როდესაც თქვენი თბილი და ნათელი სახლები აივსება ათას გვარის ტანსაცმელითა და ტკბილეულობით, როდესაც თქვენი პატარა გული აფანცქალდება უკიდურესის კმაყოფილებითა და ნეტარებით, გაიხსენეთ თქვენი პატარა დები და ძმები, ღარიბის ქართველების შვილებიც, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველ კეთილსა და, ახალის ტანისამოსისა და სამკაულის მაგივრად, ძველ-ძონძებში გახვეულნი გამომწყვდეულან ნოტიო და ბნელ სადგურებში, მოკლებულნი ყოველ საყმაწვილო გასართობს, და მცირედი ნაწილი, ძალიან მცირედი ნაწილი თქვენის ფუფუნებისა იმათაც უწილადეთ!

შეიხედეთ გაჭირვებულის მოძმის სახლში და ამ სადღესასწაულოთ თან შეიტანეთ მოწყალება და სიხარული, შეუერთეთ თქვენ გულითად, ბედნიერ ბავშვურს ხარხარსა და სიამოვნებას, ღატაკისა და დაჩაგრულის ბალღების კმაყოფილი ღიმილი და წრფელი მადლობა და ამითი დასთესეთ თქვენ პატარა გუნებაში საუკუნო კავშირი ძმობისა, ერთობისა და სიყვარულისა.

ერთი დედათაგანი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 დეკემბერი

**პეტერბურგი.** 24 დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსდგა იმიერ-კასპიის ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი კუროპატკინი.

ფინანსთა მინისტრმა უბრძანა, რომ იმ გუბერნიებში, სადაც ღვინოს ხაზინა ჰყიდის, 1898 წელს იმ გაწმენდილ სპირტს, რომელიც სახაზინო საწყობებიდგან ეძლევათ კერძო მექარხნეებს არაყის გამოსახდელად, სხვა გუბერნიებში, სადაც სასმელებით ხაზინა არა ვაჭრობს, გასაზიდად, დაედოს გასასყიდი ფასი ვედროს 5 მან.

**ხარკოვი.** 2 დეკემბერს შემთხვევით გამოაშკარავებულ იქნა არა ჩვეულებრივი ქურდობა, რომელიც მოხდა შეკერილი ტანისამოსის მაღაზიაში. ქურდები შესულიყვნენ ტრავსკის ტყავებით სავაჭრო დუქანში და გაუტეხნიათ კასსა, საიდგანაც წაუღიათ 35,000 მან. თამასუქები, კუპონები, ოქროს ნივთები და მედალები; მაღაზიიდგან მოუპარავთ 6,000 მან., კამჩატკული 40 საყელო. ქურდებმა შემდეგ გახვრიტეს სქელი ქვითკირის კედელი შაკლეევის ბრილიანტების და ოქროს ავეჯის მაღაზიისა, საიდგანაც ძვირფასი ხატების გატანა მოასწრეს. ქურდების შემდეგს თარეშობას რაღაცამ ხელი შეუშალა: მიანებეს მუშაობას თავი და წაიღეს მხოლოდ ფული და ტყავები; თამასუქები ხელსახოცში იპოვნეს; ქურდებს დარჩათ იარაღი, რომელიც, როგორცა სჩანს, საზღვარ გარეთ უნდა იყოს მომზადებული.

29 დეკემბერი

**პეტერბურგი.** 29 დიკემბერს, დილის 8 საათსა 20 წუთზე გარდაიცვალა საერო განათლების მინისტრი გრაფი დელიანოვი.

**პარიჟი.** ესტერგაზი ციხეში დაატიმრეს.

### წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვუცხადებ გაზ. „კავკასის“ რედაქტორ-გამომცემელს ბ-ნს ვ. ლ. ველიჩკოს, რომელმაც მომავალ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ შემოსწირა ხუთი თუმანი.

თავმჯდომარე შეუძლებელ მოსწავლე ქალთა დამხმარებელ საზოგადოების განყოფილებისა კნეინა მ. ვ.-ჯამბაკურ-ორბელიანისა


# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ იმ ეტლებისათვის, რომელთაც თვლებზედ შირა (რეზინი) აქვთ გადაკრული, სხვა ნიხრი არ არსებობს და ფასი ამ ეტლით სიარულისათვის იგივეა, რაც უშირაო (ურეზინო) ეტლებისათვის. ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველას, თუ ვინიცობაა, მეეტლემ დაწესებულ ნიხრზედ მომეტებული ფასი ითხოვა შირით გადაკრულ თვლებიან ეტლით სიარულისათვის, შეატყობინოს ეს ქალაქის გამგეობას პირადად ანუ ფოსტით.

(3—6.—3)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

## ყვავილთა შორის

მოთხრობა მოხუცის მებაღისა, სურათებით გადმოღებული სალომე შუბათელისმიერ

ფასი 45 კაპ.

და

ამბავი

ცხოველთა სამეფოსი

შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ სურათებით

თარგმანი გრ. ყიფშიძისა

ფასი 50 კაპ.

(5—უ.—5)

მომავალ დღესასწაულებისათვის მივიღე ბლომად კახეთის საუკეთესო ღვინოები თავადის ერეკლე ფრიდონის ძის ჭავჭავაძისა, მუკუზანის მამულებისა და მემამულეთა სოფელ ველისციხისა, ახაშნისა და ჩუმლაყისა.

## ისყიდება ნაკლებ ფასად:

ვედრო 2 მ. ვიდრე 10 მ., ბოთლი 15 კ. ვიდრე 1 მ. შემოკვეთა და დაბარება შეიძლება ყველა ადგილებიდგან, თუ მეხუთედი ფასი ამ თავით იქნება წარმოგზავნილი.

**საწყობი იმყოფება:** ქ. ტფილისში, შუა ბაზრის თავში, წინამძღვრიშვილის შენობაში.

**მისი განყოფილება:** ოლგას ქუჩაზედ გაბაევის მამულში.

ვაჭრობა დაიწყება 1898 წლის 1 იანვრიდგან.

(3—217—3) ს. ი. კურდღელოვი.

# „ივერია“

1898 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 | 5 „ | 5 „ 50 |
| 10 „ | 8 „ 75 | 4 „ | 4 „ 75 |
| 9 „ | 8 „ — | 3 „ | 3 „ 50 |
| 8 „ | 7 „ 25 | 2 „ | 2 „ 75 |
| 7 „ | 6 „ 50 | 1 „ | 1 „ 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე, – ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი — 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი — 30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე. 21.

# 1898

# მოამბე

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეოთხე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ . . . . . . . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდგან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „Моамбе“.

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველშივე ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

(3—უ.—3)